



კოდიფიცირებული

**საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო**

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 09

ქ. ბათუმი

02 თებერვალი, 2018 წ.

**ბსუ-ს დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან (ინგლისურენოვან)
საგანმანათლებლო პროგრამაზე 2018 წლის თებერვალ-მარტში ჩარიცხული
უცხოელებისათვის (მე-6 ნაკადი) 2017-2018 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის
ორგანიზებულად წარმართვის შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის, მარინა ქორიძის სამსახურეობრივი ბარათის (MES 5 18 00112986, 2.02.2018) საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ბსუ-ს დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან (ინგლისურენოვან) საგანმანათლებლო პროგრამაზე 2018 წლის თებერვალ-მარტში ჩარიცხული უცხოელებისათვის/ინდოეთის მოქალაქეებისათვის (მე-6 ნაკადი) 2017-2018 სასწავლო წელს გაზაფხულის სემესტრის სასწავლო პროცესის ორგანიზებულად წარმართვის მიზნით გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

ა) გამოიცეს ბსუ-ს რექტორის ბრძანება იმ პირების ბსუ-ს დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან (ინგლისურენოვან) საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ, რომელთაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით (გამოცემული 2017 წლის 1 აპრილიდან 2018 წლის 15 მარტამდე პერიოდში) მოიპოვეს (ან მოიპოვებენ) ბსუ-ში ჩარიცხვის უფლება და საქართველოს ვიზის მისაღებად მიმართეს საქართველოს საელჩოს შესაბამის ქვეყანაში (ბრძანება მომზადდეს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის სამსახურეობრივი ბარათის საფუძველზე);

ბ) 2017-2018 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის სასწავლო პროცესი 2018 წლის თებერვალ-მარტში ჩარიცხული პირებისთვის (პირველი სემესტრი) დაიწყო 2018 წლის 30 აპრილს (სტუდენტებთან ხელშეკრულებები გაფორმდეს 2018 წლის 1 მარტიდან, მაგრამ არაუგვიანეს 2018 წლის მაისისა (შევიდა ცვლილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 3 აპრილის N43 დადგენილებით));

გ) 2018 წლის თებერვალ-მარტში ჩარიცხული პირებისთვის (მე-6 ნაკადი) სასწავლო პროცესის სხვა ვადები განსაზღვროს ბსუ-ს რექტორმა, ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე;

დ) წინამდებარე დადგენილებაში აღნიშნული პირების სასწავლო პროცესის წარმართვის მიზნით ბსუ-ს აკადემიური და მოწველი პერსონალის აკადემიური დატვირთვის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანებებში შეტანილი იქნეს შესაბამისი ცვლილებები და დამატებები.

2. წინამდებარე დადგენილების შესრულებაზე კონტროლი განახორციელოს რექტორის მოადგილემ (სასწავლო პროცესის მიმართულებით) და ფაკულტეტის დეკანმა.

3. დადგენილება სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს (სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტს და ფაკულტეტს.

4. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოც. პროფესორი

მერაბ ხალვაში